# უსასრულო ცხოვრება, შემდგომი სამყოფელი



# უსასრულო ცხოვრება, შემდგომი სამყოფელი





muslim georgia
muslim GEORGIA international charity foundation

გამომცემლობის მმართველი:
დრ. იუქსელ სალმან

მწერალი:
აილა ამაქ

მხატვარი:
ოსმან თურჰან

კოორდინატორი:
დრ. ომერ მენიქშე

რედაქტორი:
ელიფ არსლან

გამომცემლობის ხელმძღვანელი:
მეჰმეთ ერდოან

გრაფიკის დიზაინი:
ლოქომოთივ ჯ.ა.

ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძე

ქართული გრაფიკა:
ბილალ ილქაი

muslim georgia
muslim GEORGIA international charity foundation



# უსასრულო ცხოვრება, შემდგომი სამყოფელი

muslim georgia
muslim georgia international charity foundation

რსს გამომცემლობა
muslim georgia international charity foundation

# სარჩევი


აბდულჰაი და მისი უფროსი და ........ 9

აბდულჰაის ბაბუა ........ 13

დამ მოიწყინა ........ 18

აბდულჰაი უფრო ბედნიერია ........ 26

ამ ქვეყნისთვისაც და იმ ქვეყნისთვისაც ........ 33

კარი, რომლისგანაც უკან ვერ დაბრუნდები ........ 42





muslim georgia



# აბდულჰაი და მისი უფროსი და

დედამიწაზე, ერთ ადგილას ცხოვრობდა 14 წლის ბიჭი, სახელად აბდულჰაი. მისი თმა ქარში ცალღებივით ღელავდა, თაფლისფერი თვალები ჰქონდა. თითქოს სარკეს აცარებდა მალულად, მის პაცარა გულში. ყველა, ვინც მას ელაპარაკებოდა, მის დიდ და ნათელ თვალებში თავიანთი სულის ანარეკლს ხედავდა, თავიანთ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს ხვდებოდნენ.

აბდულჰაი ყველას, ვინც ქუჩაში იფურთხებოდა და წყალში ნაგავს ყრიდა, შენიშვნას აძლევდა. არავის ეჩხუბებოდა. სიარულისას, ირგვლივ გაზაფხულის სურნელს აფრქვევდა. ადამიანებს მზესავით ათბობდა. ვერავინ ხვდებოდა, ასეთი ბავშვი როგორ გაიზარდა. საკუთარ თავზე არ საუბრობდა. ზოგჯერ ამბობდა, რომ მამას სიკვდილისას სახეზე ბედნიერების ღიმილი აღბეჭდვოდა. ცას უყურებდა და მშვიდად და უშიშრად გარდაიცვალაო. ზოგჯერ კი დედის დაცოვებული დღიურიდან დაზეპირებულ ლექსებს კითხულობდა.

პაცარა ქოხში კოჭლ დასთან ერთად ცხოვრობდა. ერთად ხის კოვზებსა და სათამაშოებს ამზადებდნენ. ამათ ყიდდნენ და ამით გაჰქონდათ თავი.

მთელი ღამე შრომობდა, დისთვის ყურანის წასაკითხავად ხის პაცარა სკამი რომ დაემზადებინა. დანის წვერით

ტოტები და ვარდებიც დაახატა. დას ძალიან მოეწონა პატარა სკამი. იმ დღის მერე, უფრო ხშირად კითხულობდა ყურანს. განთიადამდე ყურანს კითხულობდა და მშობლებისთვის უფრო მეტს ევედრებოდა.

აბდულბაკი ხისგან ჩიტებს თლიდა და გაჭირვებულ ბავშვებს ჩუქნიდა. მისი გამოთლილი ხის მანქანები, სხვა, პლასტმასის მანქანებს არ ჰგავდა. ხის მარხილი მძიმე ტვირთს ეზიდებოდა, ხელის მანქანის ბორბლები ნამდვილ ხმას გამოსცემდნენ.

აბდულბაკი მოგებული ფულის ნაწილით სახლისთვის პროდუქტს ყიდულობდა, დარჩენილ ფულს კი ღარიბ, განსაკუთრებით კი უპატრონო მოხუც ქალებს ურიგებდა. უფროს დასეუბნებოდა:

–რეალურად ამ ფულს ჩვენთვის ვინახავთ. ფული, რომელსაც ვანაწილებთ, შემდეგ სამყოფელში, ნამდვილ ცხოვრებაში დაგვეხმარება.

ზოგჯერ დასთან ერთად ბევრს მუშაობდა. ხის ლაქს ყიდულობდნენ, საუკეთესო სათამაშოებს აპრიალებდნენ და ბაზრობაზე ყიდდნენ. შემდეგ კი მოგებულ თანხას იმათ ჩამოურიგებდნენ, ვისაც სჭირდებოდათ. სწორედ მაშინ პოულობდა სულიერ სიმშვიდეს. უფროსი და ეტყოდა:

–ჩვენ ძალიან გვიხარია, სხვებს რომ ვეხმარებით. ნეტავ ჩვენს მშობლებსაც თუ უხარიათ, მშვიდდებიან და თუ ამაყობენ?

ქოხი, რომელშიც ცხოვრობდნენ, ძალიან სადა იყო. სახლის წინ, ბაღში, ერთი ლიმნის, ერთი ზეთისხილის და ერთიც ვაშლის ხე ჰქონდათ. ხეებს შორის

თითო-ოროლა პომიდორი და ოხრახუში დაუთესათ. ბაღი ძალიან უყვარდათ. ალლაჰ მადლობას უხდიდნენ, მათ ეს ბაღი რომ უბოძა და სანოვაგის გარეშე რომ არ დატოვა.

სახლთან ახლოს რკინიგზა იყო. აბდულჰაი პატარაობისას მატარებლის გრძელ რელსებზე დარბოდა, ფიქრობდა, რომ ვაგონების სიარული არასდროს ჩერდებოდა. როდესაც გაიზარდა, მატარებლის წასვლისა და შორიდან საყვირის გაგონების შემდეგ ამბობდა ხოლმე:

–ესეც სხვებივით წავიდა. ყველა, ყველაფერი ასე წავა.

## დაიმახსოვრეთ

"გაიღეთ ალლაჰის გზაზე, და თავი არ ჩაიგდოთ საფთხეში თქვენივე ხელით, და სიკეთე აკეთეთ. უეჭველად, ალლაჰს უყვარს კეთილისმყოფელები".
(ბაყარა 195)



# აბდულჯაის პაპუა

აბდულჯაი და მისი უფროსი და, რომლებსაც მშობლები თითქმის არ ახსოვდათ, ბაბუამ გაზარდა. აბდულჯაის ის ძალიან უყვარდა და აფასებდა. ოთხი წლის რომ იყო, ბაბუას მუხლზე დაჯდებოდა, თვალებს მიაპყრობდა და ისე უსმენდა მის მოყოლილ გრძელ ზღაპრებს, ისე რომ არ მოეწყინებოდა. ჰაფიზ ბაბუას, რომელმაც ყურანი ქერიმი თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა, ზღაპრები არასდროს გამოელეოდა. ზამთრის ერთ საღამოს, ბაბუას მოყოლილ ზღაპარში მამაცი გმირი რომ დაიღუპა, ძალიან ეწყინა. თავი დახარა და გაშეშდა. ბაბუამ შეამჩნია მისი მწუხარება და ზურგზე მოეფერა:

–ჩემო ბიჭუნა, რა საჭიროა ასე დამწუხრება? ჩვენც იქ უნდა წავიდეთ, ამ ქვეყანაზე უსასრულოდ არ დავრჩებით, –თქვა და გაეცინა. მოგვიანებით მიხვდა, რომ ის ვერ დაარწმუნა და უთხრა:

–იქნებ, ამ გმირმა თავი რომ გასწირა და ოჯახი გადაარჩინა, ალბათ იმ ქვეყანას დაჯილდოვდება.

თვითონ მედალიონით დაჯილდოვებული ჯარისკაცი იყო. ორჯერ დაიჭრა. მას რომ ჰკითხეს, ომში თუ შეეშინდა, უპასუხა:

–ვინც სამოთხის შესახებ ინფორმირებულია, იქ წასვლის შეეშინდება? მტერს ეშინოდა და ვერ დაგვამარცხებდა. ჩვენ უშიშრად მივიწევდით წინ და მათ უკან ვახევინებდით.

აბდულჰაის კარგად ახსოვდა ბაბუას გასვენების ლოცვა (ჯენაზე). აპრილის ერთ-ერთი მშვენიერი დღე იყო. ლურჯი ცა მეჩეთის ეზოს ანათებდა. ბაბუას თითქოს მშვიდად ეძინა მეჩეთის ქვაზე. ყველა მის წინ დამდგარიყო და თითქოს მისდამი პატივისცემის ნიშნად ხელები გადაეკვანძათ. აბდულჰაი წინა რიგში გაუნძრევლად იდგა. თითქოს ირგვლივ უცებ სამყარო გაჩერებულიყო. ეზოში სიკომოროს ხეც კი მოხრილიყო თითქოს, პატივისცემის ნიშნად.

აბდულჰაიმ იცოდა, რომ ბაბუას სიკვდილის არ ეშინოდა. სწორედ ამიტომ მან ბაბუას ერთი ცრემლიც კი არ გააყოლა და მისი იმ ქვეყნიური სასუფევლისთვის ევედრებოდა. დედის ნათქვამი სიტყვები არ ავიწყდებოდა:

–ბავშვებო თქვენი ვედრება მიღებული იქნება, ფუჭად არ ჩაივლის, შეევედრეთ.

აბდულჰაის დღიურში, რომელიც მშობლებისთვის ევედრებოდა, ბაბუასთვის ლექსი ეწერა:

ბაბუა წავიდა, დაგვტოვა, საფლავი გაუფართოვე, ღმერთო.
ბულბულმა უგალობოს განთიადისას, წყალი გაუგრილე, ღმერთო.
მწვანე ტყეებიდან მის საფლავს დაჰქროლოს ნელმა სიომ,
მინდვრის ყვავილებმა კი თაფლი მას შესთავაზონ, ღმერთო!

ღმერთო, სამოთხე იყოს მისი მუდმივი სახლი.
ლურჯი ცის სიღმეები იყოს ჭერი და თაღი.
ხალიჩა იასამნის და ოქროსფერი ფარდა,
თვალმარგალიტი იყოს შემამკობელი კართა.

გზებზე რომ ისეირნოს ნანატრ სამოთხის ბაღში
მდინარის ნაპირს გაჰყვეს თეთრი სამოსით დარში.
ჰქონდეს ანკესი ვერცხლის, მდინარე თევზით სავსე
ფარავდეს ღრუბლის ჩრდილი, თან დაჰყვებოდეს მასვე.

ნაყოფით სავსე ხის ძირს უყვარდა ტკბილად ძილი.
ყველაზე მშვიდი ძილი მას მოუვლინე, ღმერთო.
გამოღვიძებულს ჩაი, მუქი დაისის ფერი
მიირთვას ნება-ნება და ჩვენ ვახსოვდეთ, ღმერთო!

თქვენც თქვენი ახლობლისთვის ვედრება მოიფიქრეთ და დაწერეთ.

## დაიმახსოვრეთ

ბავშვებო იმ ქვეყანას წასული უფროსებისთვის შეევედრეთ, რომ თქვენთვისაც შეევედრონ. აბდულჰაის ლექსი დაგეხმარებათ.





## დამ მოიწყინა

ამდულჰაი და მისი უფროსი და ბედნიერად მიუყვებოდნენ ცხოვრების დინებას. ერთ დილას მისმა დამ მეზობლის სახლის ფანჯრიდან ტელევიზორი დაინახა. შორიდან ჯადოსნურ ყუთს ჰგავდა და მასში ფერადი სამყარო იყო. ქუჩაში დანახული ხალხისგან სრულიად განსხვავებული ხალხი, უცნაური ამბები, უცხო ტანსაცმელები და ნაირ-ნაირი საჭმელები ამნევდა. დიდი ხანი უყურებდა გაოცებული. მოჯადოებულივით იყო. მოგვიანებით სახლში დაბრუნდა, თუმცა ტელევიზორზე ფიქრობდა. მოიწყინა. ვაშლის ხეზე მხიარულად მოჭიკჭიკე ჩიტებმა და ლურჯ ცაზე მიმოფანტულმა ღრუბლებმაც კი ვერ მიიპყრეს მისი ყურადღება. განსხვავებული რამეები სურდა, ხის ძირწვას თავი მიანება და ფიქრებში გადაეშვა. ძმასთანაც კი არ უნდოდა საუბარი, რომელმაც მისი დარდი შეამჩნია. საბანი სახეზე გადაიფარა და დაწვა.

ამდულჰაი მოთმინებით ელოდებოდა დის მოწყენილობა როდის გადაუვლიდა. გარკვეული დროის შემდეგ მიხვდა, რომ დრო ვერაფერს ცვლიდა.

–დედა არ გვყავს, არც მამა. ნორმალური არაფერი გაგვაჩნია. ყველაფერთან ერთად ამ სამყაროში მარტონი ვართ. ნეტავ ტელევიზორი გვქონდა. ვუყურებდი და ალბათ მარტოობაც გადამავიწყდებოდა, –ასე უთხრა დამ ერთ დღეს. ამდულჰაი გაოცდა. აქამდე მის დას მარტოობაზე და მოწყენილობაზე სიტყვაც კი არ დასცდენია.

muslim georgia
muslim georgia international

ამდულჰაიმ მშვიდად მიმართა დას:

–დაიკო, რასაც შენ სამყაროს ეძახი, დასასრული აქვს. რა მოხდება ცოცა ნივთი გვექნება თუ მეტიო, ამბობდი და ივიწყებდი ყველაფერს.

დამ მოწყენილი ხმით უპასუხა:

–თავს მარცოსულად ვგრძნობ. ნუთუ ვერ ხვდები?

ამდულჰაიმ უთხრა:

–დიახ, ალბათ ისე ჩანს თითქოს მარტო ვართ, მაგრამ ალლაჰი მუდამ გვხედავს. ამიტომაც, თავს მარტო არ ვგრძნობ.

დამ ამ სიტყვებს არ მოუსმინა. მივიდა კუთხეში და დაჯდა. გაუნძრევლად უყურებდა კედელს. მისი და მართლაც ძალიან შეცვლილიყო. ადრე დილის პირველ სხივთან ერთად იღვიძებდა და ეზოში მუშაობას იწყებდა. ოხრახუშის პაცარა ნარგავებს ეფერებოდა, მიწას სიყვარულით რწყავდა და წითელ ბალახს აცილებდა. ახლა კი ეკლებსა და წითელ ბალახს მოეცვა ლამაზი ბაღი. მეგობრობა რომ გაწყდა, მოსცნეულებიც მათ გაუნაწყენდნენ. მისი და სულ სახლში დადიოდა და ამბობდა:

–მოვიწყინე, მოვიწყინე. არაფერი გაგვაჩნია.

ამდულჰაი ფიქრობდა, თუ რა ცუდი რამ ყოფილა მოწყენილობა. უფროს დას უთხრა:

–ცოცა გავიზარდოთ და უფრო მეცს ვიშრომებთ, უფრო მეც სიკეთეს გავაკეთებთ. მაშინ კი ადამიანს მოწყენისთვის დრო აღარ ექნება. ალლაჰი ახალ კარებს გაგვიღებს. ცოდნას მოგვიმატებს, ჩვენ კი ცოდნას რომ გამოვიყენებთ, უფრო მეცი გვეცოდინება. ცოდნა და სწავლა არ მოგვბეზრდება.



ეს ცვლილება მისმა დამაც იცოდა, მაგრამ თითქოს დავიწყებოდა. თანაც გახსენებაც არ უნდოდა.

მოგვიანებით დაჯდა და დას წერილი მისწერა, თუმცა ვერ გადასცა. ეშინოდა და არ გაენაწყენებინა და მისთვის არ ეთქვა: "ეს ცვლილება ვიცი, ნუ მასწავლი." წერილში, რომელიც ვერ მისცა, ეწერა:

"არ ვფიქრობ რომ ჩვენს სიმწარესა და დარდს ვერავინ ამჩნევს. არის ვიღაც, ვინც ამ ცვლილებას ამჩნევს. ის ჩვენი გამჩენია. ამ ქვეყანაზე თუ არა, იმ ქვეყანაზე მაინც მივიღებთ ამ ცანჯვის საფასურს. მთავარია მისი რწმენა არ დავკარგოთ.

თანაც ეს სამყარო არ არის ერთადერთი საცხოვრებელი. სხვა სამყოფელში განვითხვა რომ არ ყოფილიყო, სიკვდილის შემდეგ მიწაში დავლპებოდით და თაგვისგან არაფერი განგვასხვავებდა. ასე რომ ყოფილიყო, ყველა ბავშვი მისცირებდა დავლულ მსხვერპლს (ყურბანს). ადამიანებში სამართალი არ მოიძებნებოდა. ყველა ცვლილებას შეინახავდა, რასაც კი მოიპოვებდა. ეს სამყარო დღითი დღე ერთ დიდ საწყობს დაემსგავსებოდა. ჩვენი საყვარელი შუამავალი

ხომ ამ ქვეყანას ისე ხედავდა, როგორც მგზავრი ჩრდილს ან ხის ძირს, რომლის ქვეშაც დაისვენებ და შემდეგ გზას გაუდგები. ამ მოკლევადიან მოგზაურობაში რა საჭიროა



ასე აღელვება? შენ, შენი ლამაზი ხელებით იმ ხის ძვეშ სილამაზე დაცთვე. შენ შემდეგ მოსულებმა, რომ გამოიყენონ. შემდგომ სამყოფელში რომ იქნები, შენთვის შეევედრონ ჩემთ დაიკო."

აბდულჰაიმ იმის მაგივრად, რომ დისთვის წერილი გადაეცა, გადაწყვიცა დის დღიურიდან ზღაპარი წაეკითხა. ამ საქციელით მას გულს არ აცკენდა და ამავდროულად შეეცდებოდა შემდგომ სამყოფელზე დაეფიქრებინა:

–დაიკო, მინდა ერთი ზღაპარი წაგიკითხო. თანაც ყოველ გვერდზე ნახატი დავხატე. მომისმინე აბა, თუ მოგეწონება, –უთხრა.

"ერთ დროს ცხოვრობდა კაცი, რომელიც თითქმის მთელ ფულს, რასაც გამოიმუშავებდა, მალავდა. სახლში პაცარა ჭა ჰქონდა, გამომუშავებულ ფულს იქ დებდა და რკინის სახურავს ახურავდა. ღამით დიდი წვალებით ამოალაგებდა და ითვლიდა. დათვლისას ნერვიულობდა და ოფლიანდებოდა. ფული რომარ დაეხარჯა, არავის აჭმევდა, ერთ ლუკმასაც კი და არც მოწყალებისთვის გაიღებდა ფულს. დროსთან ერთად ისე შეიპყრო ფულის მანიამ, რომ ფულის გარდა ვეღარაფერზე ფიქრობდა. ღამით ვერ იძინებდა. დაძინებას რომ მოახერხებდა, კოშმარებს ნახულობდა. თითქოს ფულს ჰპარავდნენ და უფულოდ რჩებოდა.

აღარავი ნახულობდა, ყველას ეჭვის თვალით უყურებდა. ფიქრობდა, რომ ყველა მის ქონებაზე იყო დახარბებული. მოხუცებულიც იყო და სიკვდილმა შეაშფოთა. იმაზე ფიქრმა, რომ ოქროს მოპარავდნენ, საგონებელში ჩააგდო. ამ მწუხარებისგან გასათავისუფლებლად თავისთვის საფლავი ამოათხრევინა. საფლავში მთელი დაგროვილი ფული ჩაყარა. ოქრო, ვერცხლი, რაც თუ ქონდა ყველაფერით გაავსო.

დაიმარა, რომ სიკვდილის შემდეგ ამ ყველაფერზე დაესაფლავებინათ. სხვაგვარად მოქცევას უკრძალავდა. ეს ყველაფერი დაწერა და დაამტკიცებინა.

კაცი რომ გარდაიცვალა, საფლავი იმდენად სავსე იყო, დასამარხი ადგილი არ იყო. კაცი სავსე საფლავში დააწვინეს, ცოტა მიწა მიაყარეს და წავიდნენ. ისინი რომ წავიდნენ, მგლებმა და ჩიტებმა შეჭამეს კაცი. საფლავი აურიეს. ქურდებმა ეს რომ გაიგეს, მივიდნენ და კაცის მთელი ქონება მოიპარეს. შემდეგ კი კაცს დასცინოდნენ, რომელიც გარეული ცხოველების ლუკმა გახდა. თქვეს, რომ კაცს მთელი ქონება მათთვის დაუგროვებია. ალბათ ფიქრობდა, რომ იმ ქვეყანას წაიღებდა ქონებას, ამბობდნენ და იცინოდნენ.

ერთმა სწავლულმა და ჭკვიანმა კაცმა ეს რომ გაიგო, ხალხი შეკრიბა და უთხრა:

"ხალხნო! ამ კაცის მდგომარეობა დაინახეთ. თქვენს საფლავს უსარგებლო რამეებით ნუ გაავსებთ. იქ თქვენს სიმდიდრეს, სურვილებსა და შურს ნუ წაიღებთ. სამყოფელს ნუ შეივიწროვებთ. ისეთი რამეები წაიღეთ, რაც იქ გამოგადგებათ და იმ ქვეყანას ეკუთვნის. გაუნაწილეთ, მოწყალება გაიღეთ და სიკეთე დათესეთ. ეს თქვენს საფლავს გააფართოვებს. დიდ და ფართე ბაღებისკენ გაგიკვლევთ გზას. ეს ყველას აუხსენი, ვინც გაიგებდა."

იმ დროში მცხოვრებმა ხალხმა ამ ზღაპრისგან მაგალითი აიღეს."

სამწუხაროდ ამდულჰაის დამ ვერ გაიგო, ამ ზღაპრით რისი გადმოცემაც სურდა მას.

–სულ ასეთ რამეებზე რატომ ფიქრობ? ეს ზრაპარი გაზვიადებულია, თქვა და თავი მიაბრუნა.

დის მდგომარეობაზე ძალიან წუხდა ამდულჰაი და საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, ბავშვებისთვის სასაჩუქრე სათამაშოების კეთება შეაჩერა. ბევრი იმუშავა და იშრომა. ბოლოს, დაგროვილი ფულით დას პაცარა ცელევიზორი უყიდა. მის დას ძალიან გაუხარდა, მაგრამ იმ დღის შემდეგ ბაღს საერთოდ აღარ უვლიდა. ბალახები გაყვითლდა, ცოცები გახმა. მას კი ეს ყვლაფერი საერთოდ არ აინცერესებდა. ბაღს თითქოს საწამლავიანმა ქარმა გადაუარა. უფრო მეცი, ერთ დღეს მისმა დამ განაცხადა რომ ხელები ცკიოდა და ხის ძერწვა მთლად მიაცოვა.

–ამდულჰაი! სახლისთვის მაგიდაა საჭირო! ეს გადასხვაფერებული რას გადავაფარო? –ჰკითხა. მთელი დღე უსაქმურად იჯდა და რაც მოესურვებოდა, ყვლაფერს ითხოვდა. ყოველ დღე ახალი რამე ახსენდებოდა.

–კარგი დაიკო, შენ თუ გინდა, ჩემი ხელებით დაგიმზადებ ხის მაგიდას, –უთხრა ამდულჰაიმ და საქმეს შეუდგა. დიდი წვალებით გაკეთებული ულამაზესი მაგიდა დას ძალზე სადა ეჩვენა და არ მოეწონა.



სურდა უფრო ლამაზი და თვალსაჩინო ყოფილიყო. ყველაფერთან ერთად, მაგიდა რომ დადგეს, იმაზეც დაიჩივლა სახლი ვიწროაო:

–ეს სახლი ძალიან ვიწროა! ამ უშნო მაგიდის დადგმის შემდეგ კი სახლში მოსაბრუნებელი ადგილი არ დარჩა. უფრო დიდ სახლში უნდა გადავიდეთ, –თქვა.

აბდულჰაი მიხვდა, რომ ამ ყველაფერს ბოლო არ უჩანდა. უფრო დიდი სახლი, მერე ამ სახლისთვის სხვა ავეჯი, სხვა ავეჯისთვის კიდევ უფრო დიდი სახლი... ამ ყველაფრისთვის კარის საკეტი, ქურდისა და ფულის ამოწურვის შიში.

აბდულჰაი ამაზე ფიქრმა და დღე-ღამე შეუჩერებელმა მუშაობამ გამოფიტა და დაავადა. სიცხე წვავდა. საწოლში იწვა და თვალებსაც კი ვერ ახელდა. დაიკო შენ რა დაგემართა, ბოდვა დაიწყო. ძმა ამ მდგომარეობაში რომ დაინახა, თავის შეცდომას მიხვდა. მალევე ინატრა ძველი, ბედნიერი დღეები. ბაღში მოსტნეულზე ზრუნვა, ხის კოვზების გაკეთება და დღეები, როდესაც სხვის დასახმარებლად დარბოდნენ... ინანა. თავს ასე ცუდად რატომ ვგრძნობო ფიქრობდა. ალლაჰის დახმარებით ნელ-ნელა შეძლო გულის დარდის გაქარვება. ის მტვრიანი პატარა სკამი, რომელიც მას ძმამ დაუმზადა, გამოიღო კარადის უკანა მხრიდან და გაწმინდა. ყურანი იკითხა. კითხვისას მშვიდდებოდა. სახლი, რომელიც ვიწრო ეჩვენებოდა, ელამაზებოდა. მოგვიანებით ადგა და რაც ჩათვალა რომ არ იყო საჭირო, ყველაფერი გაიტანა. უმიზეზოდ ნაყიდი ნივთების გაცემამ დაამშვიდა. ამან სიღარიბეცა და ინვალიდობაც, მარტოობაცა და ობლობაც დაავიწყა.





muslimgeorgia

# აბდულკაი უფრო ბედნიერია

აბდულკაიმ, რომელიც საწოლში იწვა, უცებ თვალები გაახილა და დაინახა რაც ხდებოდა. უფროს დას უთხრა:

–დაიკო, ჩვენი სახლი როგორ გალამაზებულა.

სიხარულისგან ცრემლები წასკდა, დამშვიდდა და სიცხემ დაუწია. თვალები დახუჭა და მშვიდად დაიძინა. დაესიზმრა თითქოს გაცოცხლებულ ხის ცხენთან ერთად ეზოში დარბოდა. ხელში ხის ხმალი ეჭირა, ქარი თმას უჩეჩავდა და ერთი მთიდან მეორე მთაზე დახტოდა. ამ ქვეყანაზე ვინმე თუ იყო ცუდი და ბოროტი, ყველას მისი ხის ხმლის შეეშინდა და კანკალი დაიწყეს. ზედმეტი რაც ოქრო, ავეჯი და საჭმელი ჰქონდათ, გაიქცნენ და ერთმანეთს ყველაფერი გაუნაწილეს. ამ დროს ბოროტი ადამიანები ბირს დავარდნენ.

–ჩვენ რა ჩავიდინეთ, ჩვენ რა ჩავიდინეთ? –შეშფოთებულები ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

აბდულკაი თავის ცხენთან ერთად უსიამოვნებებსაც ებრძოდა, სადაც მიდიოდა. ყოველგვარი უსიამოვნება გადალახა, ყველაფერი გაიფანტა და გაქრა. ხალხი უკვე ხვდებოდა, რომ ეს ქვეყანა წარმავალი იყო და ნამდვილ სამყოფელზე დაიწყეს ფიქრი.

აბდულკაიმ სამშობლოში დაბრუნებამდე ყველა გზის კუთხეში, ნაკადულის პირას, მთის ქვეშ და ხის ჩრდილში საგზაო ნიშნები დატოვა. ამ საგზაო ნიშნებზე ეწერა: "შეჩერდი და დაფიქრდი."

აბდულკაიმ რომ გაიღვიძა იფიქრა, რომ ამ მოწყენილობის მიზეზი, რომელიც მის დასაც გადაედო, ავადმყოფობა იყო. ადამიანებმა ამ ავადმყოფობას რომ შეებრძოლონ, სიკვდილს დასასრულად და ამ ქვეყანას

ერთადერთ სამყოფელად აღარ მიიჩნევენ. ადამიანები მუდმივი სამყოფელისთვის დაიწყებდნენ მზადებას, რომელსაც დასასრული არ აქვს და მუდნიერება სუფევს. აღელვებული იყო. ეს სიზმარი და ფიქრები უფროს დას გაანდო:

–დაიკო, იცი ახლა ჩემი თავი ძალიან ძლიერი მგონია? ამასთან ერთად, სულაც არაა სწორი სულ რაღაცაზე ვწუწუნებდეთ, მაშინ როცა ამ ქვეყანაზე ასე ცოტა დრო გვაქვს, –უთხრა.

დამ უპასუხა:

–ჩვენ ხომ დრო არ გვაქვს მოსაწყენად. აწი სულ სასარგებლო საქმეები ვაკეთოთ ერთად.

აბდულკაიმ უთხრა:

–დასვენება რომ მოგვინდება, ჩვენი საყვარელი შუამავლის მსგავსად, განსხვავებული რამე გავაკეთოთ და ასე ვცადოთ დასვენება, კარგი?

დამ უპასუხა: –კარგი. როდესაც მოვიწყენთ, ისეთი რამე გავაკეთოთ, რაც არ მოგვაწყენს.

უკვე ძილსაც კი ფუჭად არ ატარებდნენ. ყველაზე კარგი ის ძილია, რომელიც დაგასვენებს და კარგ სიზმრებს გპირდება. მათაც მშვიდად და მსუბუქად ებინათ. წყლის პირას თოლიების სილამაზეში იძინებდნენ და გამოცოცხლებული იღვიძებდნენ.

აბდულკაიმ გადაწყვიტა,



რომ გაიზრდებოდა ცხენს იყიდდა და სამყაროს შემოივლიდა. ხალხს გაესაუბრებოდა და ასწავლიდა ყველაფერს, რაც იცოდა.

დედის დღიურიდან დაზეპირებულ ლექსის სტროფებს ყველაგან კითხულობდა:

ხელიდან მიდის ცხოვრების რუკა, იკარგება და
უჩინარდება.
ეკლიანი ვარდების ბაღი, ხევები, გორაკები, უდაბნო და
ყველა...
ქარის ჩადგომისთანავე მივიწყებული ფიქრების
მსგავსად...
დგახარ და ელი ჭეშმარიტი ცხოვრების კართან.
ყველა სხვა კარი ცრუილია,ეს არის მხოლოდ.
ოქროსფერ მინდვრებს არ უჩანს ბოლო...
და თავთავები, მოცელვის მომლოდინე,
გელიან, გელიან, რომ მიხვიდე.
ღრუბლების ჩრდილი...
მარგალიტის კოშკები,
ზურმუხტის სასახლეები
ოქრო-ვერცხლის ნივთებით სავსე...
აბრეშუმის ტანისამოსი...
ბუმბულის ბალიშებით...
რძის შადრევნები,
ვარდის სურნელება,
ადგილი, წარმოდგენის მიღმა.

ერთ დღეს აბდულჰაის დამ ეს რომ მოისმინა, ჩაფიქრდა. დაჯდა და დედის დღიურის კითხვა დაიწყო, რომელსაც მანამდე დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. დღიურის პირველ გვერდზე ასეთი ჩანაწერი იყო:

"სიზმარში ციდან დაკარგულ, უცნობ სამეფოში ჩამოვედი. ღრუბლები, გამჭვირვალე თმების მსგავსი, გამჭვირვალე წყლის ფარდა ცაში, მდელოზე იფანტებოდა. წვიმა მიწას ეხებოდა და ფერად ყვავილებს ფურჩქნიდა. მრწყინავი წვეთები პირს მანდა თხებს, რომლებსაც თბილი გამოხედვა ჰქონდათ, მომხიბვლელ აქლემებსა და ძლიერ ძროხებს. ხის რქები თითქოს მინისგან იყო დამზადებული. აქლემებს ყურები დაეცქვიტათ, შორიდან მოსულ ხმას ელოდებოდნენ. მხიარული ძროხები კი მოუთმენლად ეწაფებოდნენ ბალახს.

სწორედ მაშინ, როცა მათ ვუყურებდი, ჯარისკაცებივით რიგში ჩადგნენ, თითქოს მეთაურს ებრძანა. მწვანე ფერდობს ქვევით ისე ჩაუყვნენ აწყობილი ნაბიჯებით, რიგი არ დაუშლიათ.

როდესაც გამოვიღვიძე ფანჯრის მინაზე გამბრწყინებული წვიმის წვეთები დავინახე. ცისარტყელის დანახვის იმედით ცხვირი მინას მივადე. ძლიერი ქარი ბლის ხის ტოტებს არხევდა. ღრუბლები მაღლა და ცხვირჩამოშვებული მოჩანდნენ. ყველაფერი სიზმარი ყოფილა მეთქი რომ ამოვიოხრე, უცებ ეზოში ის თხა დავინახე, თბილი გამოხედვა რომ ქონდა. გავიფიქრე, რომ სწორედ ეს იქნებოდა ის ცხოველი, რომელზეც საღამოს მამა საუბრობდა, რომ მსხვერპლად უნდა შეეწირა. მისი მსხვერპლშეწირვის დროს არ მინდოდა მამასთან ერთად ყოფნა. გავიქეცი და საწოლზე პირქვე დავწექი, საბანში გავეხვიე და ვიტირე. დედა მოვიდა და ეცადა წამოვეყენებინე:

–ადექი შვილო. დღეს დღესასწაულია. აი ნახე, მსხვერპლს ვწირავთ. ადექიო რომ მითხრა, მე უფრო გავეხვიე საბანში. დედამ გაწითლებული თვალები და გაცხელებული შუბლი რომ დაინახა, იფიქრა ავად ვიყავი. გაიქცა და ერთი ჭიქა ცაცხვის ჩაი მომიტანა. მე კი ნელ–ნელა დავლიე. მოგვიანებით კი თავი ბალიშში ჩავრგე. გარკვეული დროის

შემდეგ, გარეთ ფეხის ხმებმა იკლო. მათ მაგივრად,

გაბადრული თხა მომიახლოვდა. სიყვარულით ხელი ამლოკა. შემდეგ კი გაქანა და სარკეში შეხტა. უცნაურია! სარკე არ გატყდა. ეს როგორი სარკე იყო? მასში კაცი კი არა, ხალხმრავლობა იყო, რომელიც სარკის ფართე გვერდებს ავსებდა. სახიფათო ადგილი იყო და ყველა ერთმანეთს ზედ უვლიდა.

თხა ამ ხალხმრავლობას შეერია, ერთ–ერთი მათგანი ზურგზე მოისვა და გამოვიდა. ძლიერი ცხენივით, საკუთარ თავში დარწმუნებულმა ვიწრო, გრძელი და სახიფათო ხიდი გაირბინა.

ყურადღებით რომ დავაკვირდი, დავინახე, რომ ის ბედნიერი კაცი მამაჩემი იყო და ხელს მიქნევდა:

–აი ხომ ხედავ აიშეგულ. თხამ, რომელიც მსხვერპლად შევწირეთ, სამშვიდობოს გამიყვანა. მისი ხორცით გამოკვებილი, ღარიბი ხალხი ჩემთვის მევრს ევედრებოდა, –უთხრა."

აბდულქადის დას დედის სიზმარი ძალიან მოეწონა. იმ დღის შემდეგ თვითონაც დაიწყო დღიურის წერა. ამ დღიურში პირველად ჩაწერა ლექსი, ეს ლექსი ძველი წაბლის ხეს ეძღვნებოდა, რომელიც მათი სახლის ფანჯრიდან მოჩანდა:



## კუთხეში მდგარი მეფერი ხის ლექსი

ქუჩის კუთხეში მეფეროლ ხეო,
ელოდები, ელოდები...
მოვიდა გაზაფხული,
შენ ხომ გასულ გაზაფხულსაც
ელოდებოდი...
მერე მოვიდა ზამთარი,
და ისევ ლოდინი...
კუთხეში მდგარო მეფერო ხეო,
რაც კი მახსოვხარ,
სულ ელოდები, სულ ელოდები.
ეს გზის მტვერი, ქუჩა, ხმაური...
შენი ეს ყოფა მადარდიანებს.
ნუ ღელავ აშრიალებული ფოთლებით,
ისევ განაგრძე დგომა.
თუნდაც ჩამოუშვი ტოტები,
ტოტა ჩამოფერთხე ტვირთი.
ფესვებს დაუბრუნდი ისევ,
მიწას დაუბრუნდი ისევ.
კუთხეში მდგარი ხის ნაცვლად,
იყავ მიწისქვეშ...
და მიწისქვეშა მდინარესავით
იდინე, იდინე...
იდინე სამოთხეშივე.
ევლია ჩელები შენი ფესვებია
ივმარე, რაც ქამისგან რაც ითმინე.



# ამ ქვეყნისთვისაც და იმ ქვეყნისთვისაც

აბდულჰაისა და მისი დის კეთილი საქმეები დრო და დრო მთელმა უბანმა გაიგო. ყველა ამბობდა:

–ასეთს რას აკეთებთ? ყოჩაღ! არავინ მოიძებნება ისეთი, ვისაც არ უყვარხართ. თანაც რა პაცარები ყოფილხართ.

ისინი კი ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. მათ იცოდნენ, რომ სიკეთის საზღაურს შემდგომ სამყოფელში მიიღებდნენ. და–ძმა აგრძელებდა დღიურის წერასა და ხის კოვზების გაკეთებას. მათი გამოძერწილი კოვზები ყველგან ცნობილი გახდა. ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდიოდნენ მათი კოვზების საყიდად.

–ამ უბანში და–ძმა ყოფილა, რომლებიც ხის კოვზებს აკეთებენ. მათი გაკეთებული კოვზებით მირთმეული საჭმელი ძალიან გემრიელი ყოფილა. ამბობენ, რომ იმ კოვზით ჭამისას უფრო მალე ნაყრდებიან. სად ცხოვრობენ? –კითხულობდნენ. მათ, ვისაც გემოს გრძნობა დაეკარგათ, მოდიოდნენ და უხვად ყიდულობდნენ კოვზებს.

და–ძმა ამ გზით უფრო ეხმარებოდნენ გაჭირვებულებს. ეს მათ ამ ქვეყანაზე ყველაზე ბედნიერ ადამიანებად აქცევდა. გაცინებისას სახე ებადრებოდათ.

აბდულჰაი რომ გაიზარდა, თითქმის აიხდინა თავისი ოცნება. მრავალი ადგილი მოიარა. ამ გზით თან ცოდნა და გამოცდილება შეიძინა, თან ხალხს ესაუბრებოდა და შემდგომ სამყოფელს ახსენებდა. ზოგიერთ გზასაცდენილს სწორი გზისკენ მოუწოდა. ამ მოგზაურობათაგან ერთ–ერთის დროს, კეთილი ექიმი გაიცნო და მანაც ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად, მის დას ფეხის პროთეზი გაუკეთა. მისი წყალობით, აბდულჰაის უფროსი დაც ღებულობდა დროდადრო მოგზაურობაში მონაწილეობას.

მსოფლიოს გარშემო მოგზაურობამ ამდულჯაის ბევრი რამ ასწავლა. ზოგჯერ მეთევზეებთან ერთად ოკეანეში მიდიოდა და მეზღვაურობა ისწავლა. ზოგჯერ თვითმფრინავით ან შვეულმფრენით იმგზავრა. რასაც ხედავდა, ყველაფერს იწერდა. დაინახა, რომ სწავლა არ სრულდებოდა. სიკვდილამდე სწავლობდა სხვადასხვა ენებს და ბევრ ხალხს ეცნობოდა. ყველაფერს, რასაც სწავლობდა, ახალგაცნობილ ხალხს უზიარებდა. ცდილობდა თავისი ცოდნა სხვისთვისაც გაეზიარებინა. ამგვარად ახალი ცხოვრება დაიწყო, რომელშიც ყოველი დღე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

მისმა უფროსმა დამაც გულისყურით წაკითხული ყურანის წყალობით, თავისი გასაჭირი გაიძარცვა. მასთან ერთად ცეიროდა და იცინოდა. გაძვავებული გული მან მოულბო.

ამდულჯაიმ და მისმა დამ ეს სამყარო რომ დატოვეს და შემდგომ სამყოფელში გადავიდნენ საცხოვრებლად, მათი დატოვებული დღიურები წლების განმავლობაში გადადიოდა ხელიდან ხელში. მწერლები მათი ჩანაწერებიდან მაგალითს ღებულობდნენ. ვინც მათ ჩანაწერს კითხულობდა, ამ ცხოვრების შიში უნელდებოდა და ამბობდა:

– რა კარგია რომ შემდგომი სამყოფელი და განკითხვა არსებობს.

შემდგომ სამყოფელზე ხშირმა ფიქრმა ადამიანები გამოასწორა. ამის წყალობით ამდულჯაიმ და მისმა დამ დიდი მადლი მოიგეს.

სამწუხაროდ, ამდულჯაისა და მისი დის სიკვდილის



შემდეგ, ხალხმა დაივიწყა ისინი, ვინც მათ აფრთხილებდა. ცოტა ხნის შემდეგ ისე იქცეოდნენ, თითქოს მხოლოდ ამ სამყაროში უნდა ეცხოვრათ. ვინმე თუ გააფრთხილებდა, ზურგს აქცევდნენ და მიდიოდნენ. ასე ხდება, ადამიანები ზოგჯერ მათთვის ყველაზე სასარგებლოს არ აქცევენ ყურადღებას. ფუჭ საქმეებში ეფლობიან. თუმცა, ბოლოს აუცილებლად ნანობენ.

ამდულჰაის ბავშვებისთვის მეჩეთის ეზოში ნათქვამი ეს სიტყვები ჯერ კიდევ კედლებს ახსოვდათ:

– ამ ქვეყანაზე არავინ იცის, როდის მოკვდება. სიკვდილი ნიშნავს, რომ ის რვეული იხურება, სადაც თქვენი ცოდვა და მადლი იწერება. ნუთუ სურს ხალხს იმ რვეულის გამუქება, ლამაზი რამეებით შევსების მაგივრად, რომელიც დაიხურება? ადამიანებს კი უმრავლეს, იაფიანი რვეულის უმიზეზოდ გამუქებაც არ სურთ. ეს მხოლოდ იმ ბავშვებს სურთ, რომელთა გონება არაა განვითარებული. შემდგომ სამყოფელში შეუდარებელი სილამაზეები გველოდება. ნუთუ მოინდომებს ვინმე ასეთ ადგილზე უარს, მაშინ როდესაც მასზე იცის?

ერთ-ერთმა ბავშვმა ამდულჰაის ჰკითხა:

– აგვიხსენი სამოთხე როგორი ადგილია.

ამდულჰაიმ მაშინვე დაიწყო ახსნა:

–იქ ათასობით ფერი და სურნელი, რომლებსაც ვერც კი წარმოვიდგენთ. იქაურობის სიდიდე და სილამაზე ენით აღუწერელია. იქ არც შრომა, არც გაჭირვება, არც გულის ცვენა და არც დაღლილობაა. ჩვენ აქ უნდა დავღვაროთ ოფლი და იქ გავგრილდებით. იქაური სიგრილის აღწერა შეუძლებელია. იმაზე უფრო სასიამოვნოა, ვიდრე აგვისტოში შუადღისას ასფალტზე ლოდინისას ყინულივით ცივ წვენს რომ მოგიტანენ.

სხვა დაინტერესებულმა ბავშვმა აბდულჰაის ჰკითხა:

–იქ ყველაფერია, რაც გვსურს?

–არ არსებობს იქ ისეთი რამ, რასაც ვისურვებთ და არ აგვიხდება. ამ ქვეყანაზე რაც ძალიან ისურვეთ და ვერ აიხდინეთ, გაისარჯეთ და ვერ მიიღეთ, ყველაფერს იმ ქვეყანაზე მიიღებთ. იქ თქვენ საყვარელი მეგობარი, ბევრი ყვავილი, ჩიტი, ხე, ზღვა, წყარო, მდინარე, ხილი და კიდევ უამრავი რამ მოგეცემათ. არსებობენ ისეთი ბლიერი არსებები, რომლებიც ხელში აგიყვანენ და მაღლა, ღრუბლებს ზემოთ აგაფრენენ. წარმოიდგინეთ რაც გსურთ. სამოთხეში ყველაფერი შესაძლებელია, –უთხრა.

აბდულჰაიმ კარგად ახსნა, მაგრამ სამოთხის სიტყვებით ახსნა ცოტა შეზღუდულია.

ბავშვებს უფროსებზე უკეთ შეუძლიათ სამოთხის წარმოდგენა. მათი გონება თავისუფალია, უსაზღვრო სიტყვებით არაა სავსე. მათ უკეთ შეუძლიათ უსასრულო საცხოვრებელი შეიცნონ.

სწორედ ამიტომ იყო აბდულჰაისა და მისი დისთვის უფრო იოლი სიკეთის კეთება. მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდნენ, არ შეცვლილან. თანაც დარწმუნებულები



იყვნენ რომ ჯილდოს ადრე თუ გვიან მიიღებდნენ. იცით ისინი ყველაზე მეტად რას იმედოვნებდნენ და რომელი ჯილდოს მიღება სურდათ? ალლაჰს რომ ყვარებოდათ. მისი სიყვარული ხომ ადამიანისთვის ყველაზე სასურველი და აღმაცრებულია.

ცუდი რამ რომ გადაგხდეთ, ეს დიდი ჯილდოს სახით დაგიბრუნდებათ. გაჭირვების მოთმენის ძალაც მოგეცემათ. გაჭირვება, რომელიც გგონიათ რომ არ დამთავრდება, წარსულს ჩაბარდება. უკან რომ მიიხედავთ და დაინახავთ ცვივილსა და სირთულეებს რა სიმამაცით გაუმკლავდით, გაგიკვირდებათ. სწორედ ეს ძალა გიბოძათ ალლაჰმა.

აბდულჰაის დასაც, ძმასავით ბავშვებთან საუბარი უყვარდა. ერთ დღეს ერთ-ერთმა ბავშვმა უთხრა:

–მე დედაჩემი, ჩემი მასწავლებელი და მეგობარი, ჰაციჯე მიყვარს. მამაჩემის ახსნის შემდეგ ჩვენი შუამავალიც ძალიან მიყვარს, მაგრამ არ ვიცი ალლაჰის სიყვარული როგორია.

მის დამ ბავშვს თმაზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

–ალლაჰის სიყვარულზე ძვირფასი რა შეიძლება იყოს? რაც კი მოგაფიქრდებათ, თქვენთვის ყველაზე საყვარელი რაცაა მან გიბოძათ. ყველა ძლიერს მან, თავისი ძალიდან უბოძა. ის რომ არ ყოფილიყო, ამ სამყაროში არც ლამაზი და არც ძლიერი იარსებებდა.



პეპლებისა და ცის ფერი, თოვლის ფანტელები და თითის ანაბეჭდების ფორმა მან შეარჩია. ამ სილამაზეებით მინიშნებები მოგვცა სამოთხეზე. ამგვარად, ადამიანები ბუნებასთან ახლოს თავს უკეთ იგრძნობენ, ხომ ასეა? მიწაზე რომ დაწვებით და ცაში აიხედავთ, ამიტომ გრძნობთ თავს თავისუფლად. უკეთ მიხვდებით, რომ სული არ კვდება და მუდამ იარსებებს.

დაინტერესებულმა ბავშვებმა ჰკითხეს:

–დაიკო უსასრულობა როგორია?

–ბავშვებო, ცის მიღმა, ძალიან შორს, სავსე მთვარის იქეთ რა არის? ან იმის იქით? ამაზე ფიქრს ბოლო არ უჩანს. ამ უსასრულობის გამჩენმა ალლაჰმა გაგაჩინათ თქვენც. თქვენი მარადიულობა არ დაგავიწყდეთ. ყველა, აბსოლუტურად ყველა მიხვდება სიკვდილის შემდეგ მარადიულობას. ადამიანი ყველაფერს ამ ქვეყანაზე ვერ გაიგებს. იმ ქვეყანას რომ წახვალთ, არ გაგიკვირდეთ. "მე ვიცოდი, რომ ჩემთვის ეს ქვეყანა იყო მზად, მაგრამ არ ველოდებოდი, რომ ასე დიდი და ლამაზი იქნებოდა." ასე უპასუხეთ, კარგი?

ბავშვებმა ლამაზი თვალებით გაუღიმეს.

ბავშვები სხვებს უნდა უხსნიდნენ, თუ მათ პატარა გულში როგორ წარმოუდგენიათ სამოთხე. განსაკუთრებით კი, უფროსებს უნდა აუხსნან. სახვადასხვა ეპოქაში მოხალისეებად განაწილებულიყვნენ და სხვებისთვის აეხსნათ ნეტავ.



თორმეტი წლის ბავშვის ნახულ, სამოთხის სიზმარს მოგიყვებით. ყველა განსხვავებულად ხედავს სამოთხის სიზმარს. ბავშვებო თქვენც თუ ნახავთ სიზმარში სამოთხეს, დღიურში ჩაინიშნეთ:

"დედიკო, სიზმარში ძალიან გრძელი, თეთრი გზა დავინახე. გზას შიშველი ფეხი დავაბიჯე. რბილი, ნათელი ქვიშა იყო. შემეგებნენ და სიყვარულით ჩამეხუტნენ. შორს ცისფერი ზღვა მოჩანდა. იქეთ მინდოდა წასვლა. ერთად ვიარეთ. გზაზე ჩემი სიმაღლის ხეები იყო. მივწვდი და ფერადი ყვავილები მოვწყვიტე. ყვავილები ჩემს ხელებში სხვადასხვა ხილად იქცნენ. ძალიან კარგი მეგობრები მყავდა. მგონი ჩემთვის სიცოცხლესაც კი გასწირავდნენ. თუმცა იქ არავინ დარდობდა სულზე. ყველა და ყველაფერი დაცული იყო.

დედა, წყლის ჩქეფა უნდა გენახა. ცა გახარებული იყო, სავსე მთვარე მოცეკვავესავით ცრიალებდა. შუქი ყველა მხარეს ანათებდა, შინაგანადაც გვანათებდა. მათთვის, ვინც ამქვეყნად მართალი იყო, ოქროს გვირგვინები დაედგათ თავზე. ქარი არც ერთ ადგილს ტოვებდა წყლის გარეშე, ყველგან სიმწვანეებსა და იისფერი ხავერდის ყვავილებს შლიდა. ვარდის ბაღებში, უხვ წყლებთან ჩვენი შუამავალის მიმდევრები იცდიდნენ. სამწუხაროდ მე იქ მისვლამდე გამომეღვიძა. დედა, კვლავ იქ დაბრუნება მინდოდა. ვისურვებდი, შენც იქ მოსულიყავი. "

როგორც იცით, ამდულჰაი აღარაა ცოცხალი. მან დიდი ხნის წინ დატოვა ეს სამყარო. დაიხურა ის რვეული, სადაც მისი კარგი საქმეები იწერებოდა. თუმცა, საკმაოდ სავსე და სქელი რვეული იყო.

ჩვენი გმირი ისე კარგად ცხოვრობდა, რომ მათთვის შემვედრებლების რიცხვი არ კლებულობდა. ამდულჰაი მიწის ქვეშ, სადაც იცდის, ალბათ ძალიან მშვიდადაა, რადგან

ჩვენ ძალიან კარგი რამ გვაცნობა. ალლაჰი ზოგიერთს ისე გაუფართოვებს

საფლავს, რომ იქაურობა სამოთხის ბაღი ეგონება. ასე რომ, ღმერთის ნებით სულ არ მოეწყინებათ ლოდინისას მათ, ვინც იმ მიდამოებში თეთრ ცხენზე ამხედრებული ივლის.

იმათი რვეული, ვინც სკოლებს, მეჩეთებს, წყაროებს, ხიდებსა და საავადმყოფოებს ააშენებენ და სასარგებლო შვილებს აღზრდიან, არასდროს დაიხურება. იმ ხიდზე რომ გაივლიან, იმ წყაროდან წყალს რომ დალევენ, მათ რვეულებში ლამაზი რამეები ჩაიწერება. ყველაზე კარგი კი ისაა მეგობრებო, სასარგებლო შვილი რომ იქნები. თქვენ კარგი ბავშვები იყავით, რომ თქვენი მშობლების რვეული არასდროს დაიხუროს.



## დაიმახსოვრეთ

"ბრძანა ალლაჰმა: "ეს არის დღე, როცა მართალთ სარგებელს მოუტანს მათი სიმართლე. მათთვისაა სამოთხენი, სადაც ძირს მდინარეები მოედინა. და იქ დარჩებიან სამუდამოდ. ალლაჰი კმაყოფილია მათი და მისით კმაყოფილი არიან ისინი. ესაა ნეტარება უდიდესი!"

(მაიდე 119)



## კარი, რომლისგანაც უკან ვერ დაბრუნდები

კარი, რომელიც ამდულჰაიმ გაიარა და რომელიც ერთ დღეს ყოველმა ჩვენგანმა უნდა გაიაროს, ჩვეულებრივი კარი არაა. ამ კარიდან უკან ვერ დაბრუნდები. ეს კარი უსასრულობისკენ იხსნება. იქ ვერავინ მოიქცევა სხვას უსამართლოდ და ყველაფრის საზღაურს ბოლომდე მიიღებს. ის სამართლის კარია, ნამდვილ ცხოვრებაში გადასვლის კარი.

ბევრი თქვენზე უფროსი გაივლიდა იმ კარს, რომლებიც ძალიან გიყვარდათ. კარიდან, რომელიც ჩვენმა შუამავალმაც განვლო! კარი, რომელსაც ყველა სულიერი გაივლის! სხეულს დავტოვებთ და ჩვენს სულთან ერთად ჩიტივით თავისუფლად გავიფრენთ იმ კარიდან...

იქ თვალი იმას აღწერს, რაც დაინახა, ყური კი იმას-რაც მოისმინა. რა ბედნიერნი არიან ისინი, ვინც კარგი საქმეები აკეთა. მათ საერთოდ არ ეშინიათ. უფრო მეტიც, მათ შესაძლოა ისურვონ, რომ მალე გაიხსნას კარი.

ამდულჰაი შუა ხნის ასაკში რომ იყო, იმ კარის აღსაწერად, ჩვენ რომ ვამბობთ, ლექსი დაწერა:



გაიღე სეზამ, გაიღე!
დაე, ყველა კარიდან ჩამოიშალოს დარდი.
და იმ დაქანგულ ბოქლომებში
მოერგოს გასაღები
და გაიწიოს გულის ფარდები.

გაიღე სეზამ, გაიღე.
მტრედის ფრთიანო კარო.
მრავალ დაქანცულ დერვიშთა
მასპინძელი რომ ხარო.

გაიღე სეზამ, გაიღე!
როგორც იალქანი, ისე გაიშალე.
შენი სადაფის ზედაპირით
გაიღიმე და გაიხარე.
გაიღე ცადაწვდილო კარო.
გაიღე კართა სულთანო!



არსებობს კარები, რომლებიც ერთი ოთახიდან მეორე ოთახში იხსნება. ზოგიერთი კარი ქუჩაში, ეზოში... ასევე არსებობს ერთი კარი, რომელიც ყველასგან განსხვავდება. ის სამუდამო სამყოფელში იხსნება და იქიდან უკან ვეღარ მობრუნდები. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს კარი, რომელიც სხვა სამყაროში იხსნება, სიცარიელეში იხსნება. ზოგიერთის აზრით კი ეს კარი საერთოდ არ არსებობს.

სწორედ ამიტომ, ზოგიერთი ამ კარში თავაწეული გაივლის იმ სამყაროსკენ, ზოგიერთი კი– თავდახრილი.

–თქვენთვის სიმართლე არ აუხსნიათ? –რომ შეეკითხებიან, ასე უპასუხებენ: –დიახ, აგვიხსნეს, მაგრამ ჩვენ არ დავიჯერეთ. იმ სამყარომ ძალიან გაგვართო.

მათ ახლავე უნდა ვუთხრათ:

–დაფიქრდით, დღესაც მოსდევს ღამე. ისევე როგორც დღე ილევა და ღამე დგება, ასევე დგება ამ სიცოცხლის მოლოდ. ამ სამყაროს წყვდიადის შემდეგ, შემდგომ სამყოფელში შუქი მზესავით ამოვა და გაანათებს. მხოლოდ ერთი დღეც რომ ავიღოთ მაგალითად, ისიც მინიშნებას გვაძლევს, ეს რამეს შეცვლის?

სამრალონი არიან ისინი, ვინც დასახმარებლად გაწვდილ თოკს ვერ ხედავენ და ვერ ეჭიდებიან. ხოლო



ბედნიერნი არიან ისინი, ვინც ძლიერად ეჭიდებიან თოკს და სხვებსაც თავისკენ ეზიდებიან. აი ასეთი ბავშვი იყო აბდულჰაი. ისე გაიზარდა,

რომ ბავშვებისთვის დამახასიათებელი სისპეტაკე და გულწრფელობა არ დაუკარგავს. მის საფლავზე ვარდები ყვავიან და ყოველი განთიადისას ბულბულები ჭიკჭიკებენ.

თქვენც შეგიძლიათ მისი მსგავსი ან მასზე უკეთესი ადამიანი იყოთ. საჭირო არაა გაზრდა, ახლავე დაიწყეთ სიკეთის შეგროვება. თავი არ დაიმციროთ. დაბალი კი ხართ, მაგრამ დიდი საქმეების კეთება შეგიძლიათ. ლურსმანიც პატარაა, მაგრამ რამხელა საქმეს აკეთებს. ალბათ გსმენიათ, ერთ წიგნში ზღაპარია, რომელიც ხსნის თუ რამდენად მნიშვნელოვანია პატარა რამეები:

"ერთ დროს, დიდ გემზე პატარა ლურსმანი ცხოვრობდა. ამ პატარა ლურსმანმა უცებ ადგილიდან გამოძვრომა დაიწყო. იქ, სადაც იყო ძალიან მოწყენოდა და იმ ადგილიდან წასვლა და გადარჩენა სურდა. ეს ფიცარმა შეამჩნია და უთხრა:

–არ მოიქცე ასე მეგობარო. შენ თუ გამოძვრები, მეც ვერ გავჩერდები ჩემს ადგილას. ასე არ მოიქცე, შენს ადგილას გაჩერდი.

სხვა მეზობელმა ფიცრებმაც უყვირეს:

–რა ხდება? არ მოდუნდეთ, ყველა დავიშლებით!

ფიცრების ხმა რომ გაიგეს, ყველა ხრახნმა, სქელმა თოკებმა, ლითონის ბოქლომებმა თამაში დაიწყეს და მოეშვნენ. გემმა რყევა დაიწყო. გემის რყევამ



კაპიტანი შეაშფოთა. მეზღვაურებმა ხან აქეთ, ხან იქით დაიწყეს სირბილი. ეს მდგომარეობა რომ დაინახა პატარა ლურსმანმა, მიხვდა რომ აუცილებლად უნდა გაჩერებულიყო თავის ადგილას. მე რომ არ ვიყო, გემი ვერ წავა. ყველა პრობლემა ჩაიბირება, ხალხი დაიღუპება. ისინი უნდა დავიცვა, თქვა და თავის ადგილს გაჩერდა. მიხვდა რამდენად მნიშვნელოვანიც იყო და საკუთარი თავით იამაყა. ამის მერე ვერავინ ეცყოდა, პატარა და უსარგებლო ლურსმანი ხარო."

აი ასე მეგობრებო. არ დაივიწყოთ ეს ზღაპარი. თქვენ პატარები ხართ, მაგრამ ბევრ საქმეში გამოდგებით. ამ წიგნის წაკითხვა და გაგება თქვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

ბავშვებო, არც ამდულჭაი დაივიწყოთ. ის კეთილი ბავშვი, რომელიც სიმართლეს, სიკეთესა და ვედრებას არ აცდენია და რომელიც ცოცხალი მაინც გვგავთ. ის, რასაც იგრძნობთ რომ ალლაჰს არ მოეწონება, მიატოვეთ და სამუდამოდ ჩამოშორდით. სუფთა გული, რომელიც მთის ცმასავით მშვიდი და ღრმაა, არ დაიბინძუროთ.

## დაიმახსოვრეთ

"იმით, რაც ალლაჰმა გიბოძა, ისწრაფე საიქიო სამყოფელისკენ, და არ დაივიწყო შენი წილი წუთისოფლისა. სიკეთე აკეთე ისეთივე, როგორიც ალლაჰმა მოგმადლა და არ გაავრცელო უკეთურობა ქვეყნად, რამეთუ ალლაჰს არ უყვარს უკეთურნი!"

(ქასას 77)




ჩემი და ყველაფრის გამჩენი ალლაჰი